

სარეკომენდაციო წერილი

აუდიტის ობიექტი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელი: ნადიმ ვარშანიძე

1. გამოვლენილი გარემოება:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ ორგანიზაციის ბალანსის არასრულყოფილად შედგენით შეუსრულებელია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება.

რეკომენდაცია

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ ორგანიზაციის ბალანსის შედგენა უნდა განხორციელდეს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების სრული დაცვით;

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

2. გამოვლენილი გარემოება:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საანგარიშო პერიოდში არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობა.

რეკომენდაცია

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესაბამისად;

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

3. გამოვლენილი გარემოება.

მუნიციპალიტეტის 2014 წლის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეული ხარჯებიდან 11 540 ლარით არ არის გაზრდილი აქტივების ღირებულება.

რეკომენდაცია

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ძირითადი აქტივების ღირებულებაში საპროექტო ხარჯის გათვალისწინება;

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

4. გამოვლენილი გარემოება

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების წარმოდგენლობის პირობებში, მიმწოდებლებისათვის გადახდილია 58 785 ლარი .

რეკომენდაცია

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, ხელმძღვანელობამ, უზრუნველყოს მიმწოდებლებისათვის თანხის ანაზღაურება დადგენილი წესით, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისად;

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

5. გამოვლენილი გარემოება

ხარჯების ნაწილში, შრომის ანაზღაურების მუხლში, არასწორად არის ასახული საჯარო მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაცია 51 500 ლარი და ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულების ხარჯი 8 574,5 ლარი.

რეკომენდაცია

მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევა განხორციელოს თანახმად საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციისა“;

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

6. გამოვლენილი გარემოება

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათების წერტილების ტექნიკური მომსახურებისათვის შპს „განათებასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად 1 120 განათების წერტილის ტექნიკური მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენდა 4390.4 ლარს, დღ-ს ჩათვლით 5180.67 ლარს. აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ იანვრის თვეში გადახდილია მთლიანი თვის ანაზღაურება, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება გაფორმებულია 20 იანვარს და შესაბამისად იანვრის თვეში მომსახურება გაწეული იქნა მხოლოდ 12 დღეს. გამომდინარე აქედან, შემსყიდველის მიერ ზედმეტად არის გადახდილი 3 175 ლარი. ასევე გარე განათების წერტილების ტექნიკური მომსახურების შესყიდვებში გამოვლინდა ბაზრის არასათანადო კვლევის ფაქტები.

მუნიციპალიტეტის მიერ სამუშაოთა შესყიდვისას სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი, რომლისთვისაც შემდგომში ხელშეკრულებით განსაზღვრულია მისი დარღვევისათვის პირგასამტეხლო. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების გაანალიზებით ირკვევა, რომ შესრულების დროს გეგმა-გრაფიკს არ ექცევა სათანადო ყურადღება და შემსყიდველის მხრიდან არ ხდება მისი მონიტორინგი.

რეკომენდაცია

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ყურადღება მიექცეს ბაზრის კვლევის სრულყოფილად ჩატარებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის მიმწოდებლების მხრიდან შესრულებას და მიმწოდებლებისათვის თანხის გადახდა განხორციელდეს მათ მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად;

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

7. გამოვლენილი გარემოება

2014 წლის 14 თებერვლის საიჯარო ხელშეკრულების თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა სარგებლობის უფლებით გადასცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტობუსი. გარდა საიჯარო ქირის გადახდისა მოიჯარე ვალდებულია იჯარით აღებული ქონებით მოემსახუროს მაჭახლის ხეობის მოსახლეობას, დააზღვიოს ავტობუსი, გასწიოს მოვლისათვის საჭირო ყველა ხარჯი, სარემონტო და შეკეთებითი სამუშაოები, აგრეთვე სხვა ხარჯები, რაც საჭიროა მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის და ყოველი წლის არაუგვიანეს 20 დეკემბრისა მესაკუთრესთან წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის მოიჯარეს არ ჰქონდა წარდგენილი ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია, რითაც შეუსრულებელია ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება.

რეკომენდაცია

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდეს მონიტორინგი მოიჯარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობაზე. კერძოდ, უზრუნველყოფილი იქნეს 2014 წლის 14 თებერვლის საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

ირაკლი ანანიძე

უფროსი აუდიტორი/ჯგუფის ხელმძღვანელი/

გურამ დუმბაძე

უფროსი აუდიტორი/ჯგუფის წევრი/

25.12.2015

დანართი N1 - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

N	რეკომენდაცია
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ ორგანიზაციის ბალანსის შედგენა უნდა განხორციელდეს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების სრული დაცვით;
2	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესაბამისად;
3	საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ძირითადი აქტივების ღირებულებაში საპროექტო ხარჯის გათვალისწინება;
4	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, ხელმძღვანელობამ, უზრუნველყოს მიმწოდებლებისათვის თანხის ანაზღაურება დადგენილი წესით, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისად;
5	მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევა განახორციელოს თანახმად საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციისა“;
6	სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ყურადღება მიექცეს ბაზრის კვლევის სრულყოფილად ჩატარებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის მიმწოდებლების მხრიდან შესრულებას და მიმწოდებლებისათვის თანხის გადახდა განხორციელდეს მათ მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად;
7	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდეს მონიტორინგი მოიჯარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობაზე. კერძოდ, უზრუნველყოფილი იქნეს 2014 წლის 14 თებერვლის საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.

დანართი N2 - შესრულებული რეკომენდაციები

ხელვაჩაური მუნიციპალიტეტი

N1

რეკომენდაცია	
გამოყენებული ფინანსური სახსრები	
პასუხისმგებელი პირი რეკომენდაციის შესრულებაზე	
რეკომენდაციის შესრულების თარიღი	
განხორციელებული აქტივობა	
აუდიტის ობიექტის პასუხი რეკომენდაციაზე	

N2

რეკომენდაცია	
გამოყენებული ფინანსური სახსრები	
პასუხისმგებელი პირი რეკომენდაციის შესრულებაზე	
რეკომენდაციის შესრულების თარიღი	
განხორციელებული აქტივობა	
აუდიტის ობიექტის პასუხი რეკომენდაციაზე	

N3

რეკომენდაცია	
გამოყენებული ფინანსური სახსრები	
პასუხისმგებელი პირი რეკომენდაციის შესრულებაზე	
რეკომენდაციის შესრულების თარიღი	
განხორციელებული აქტივობა	
აუდიტის ობიექტის პასუხი რეკომენდაციაზე	

დანართი N3 – აუდიტის ობიექტის სამოქმედო გეგმის ფორმა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

N1

რეკომენდაცია	
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი რეკომენდაციაზე	
დასაბუთება უარის შემთხვევაში	
რეკომენდაციის შესრულების დაწყების დაგეგმილი თარიღი	
პასუხისმგებელი პირი რეკომენდაციის შესრულებაზე	
რეკომენდაციის შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობა	
რეკომენდაციის საბოლოო შესრულების დაგეგმილი თარიღი	

N2

რეკომენდაცია	
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი რეკომენდაციაზე	
დასაბუთება უარის შემთხვევაში	
რეკომენდაციის შესრულების დაწყების დაგეგმილი თარიღი	
პასუხისმგებელი პირი რეკომენდაციის შესრულებაზე	
რეკომენდაციის შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობა	
რეკომენდაციის საბოლოო შესრულების დაგეგმილი თარიღი	

N3

რეკომენდაცია	
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი რეკომენდაციაზე	
დასაბუთება უარის შემთხვევაში	
რეკომენდაციის შესრულების დაწყების დაგეგმილი თარიღი	
პასუხისმგებელი პირი რეკომენდაციის შესრულებაზე	
რეკომენდაციის შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობა	
რეკომენდაციის საბოლოო შესრულების დაგეგმილი თარიღი	